საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი, 1961 წ.
№ 81 (1717)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.



გოლიათი ფიცარნაგთან





საკვირველია, მაგრამ მსოფლიოს უძლიერეს ძალოსანს ი. ვლასოვს ჩვენ ძალოსნურ დარბაზში კი არა კურორტ ლესელიძის ჩრდილოვანი ხეივნის სარბენ ბილიკზე შევხვდით. ჩვენი პლანეტის ყველაზე ღონიერი კაცი მორიგ კროსს ატარებდა.

ერთსაათიანი მძლეოსნური დაჭურვის შემდეგ ი. ვლასოვი შტანგაზე მუშაობას შეუდგა და ორი საათის განმავლობაში საერთო ჯამში 5 ტონა ტვირთი მაინც ასწია.

როგორც ცნობილია, ი. ვლასოვი ორი მსოფლიოს და ოთხი ოლიმპიური რეკორდის ავტორია. აღტაცებას იწვევს მისი ფენომენალური შედეგი ხამჭიდში — 587,5 კგ.

— მომდინარე წელს მე შომიწევს გამოსვლა ძალოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე ლონდონში, საკავშირო პირველობაზე და მსოფლიოს ჩემპიონატზე. ამ დროისათვის მე საუკეთესო სპორტულ ფორმაში ვიქნები და თუ ყველაფერი რიგზე იქნა, შევეცდები ჩემი შედეგი გავაუმჯობესო. — გაგვაცნო ი. ვლასოვმა თავისი გეგმები ვარჯიშის შემდეგ.

გულთბილად გამოვეთხოვეთ გოლიათს და ვუსურვეთ ახალი წარმატებები.

ვ. სემიონოვი

* * *

სურათებზე: ი. ვლასოვი ფიცარნაგთან.

ორი პრიზი — სტაიერებისათვის

მოსკოვთან კიევის გზატკეცილზე ჩატარდა მასობრივი შეჯიბრება 30 კმ სპორტულ სიარულში, რომლის სტარტზე გამოვიდა მოსკოვის, ლენინგრადის, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების 200-ზე მეტი სპორტსმენი. ისინი ერთმანეთს ებრძოდნენ ჟურნალ „სპორტივნაია ჟიზნ როსიის“ პრიზისათვის. შეჯიბრება მოიგო მოსკოველმა ა. ვედიაკოვმა („დინამო“), რომელმაც აჩვენა მაღალი შედეგი —2:22.27,4 წ.

აქვე გათამაშდა გაზეთ „ტრუდის“ ჯილდო 30 კმ რბენაში. ამჯერად პრიზს დაეპატრონა რიაზანელი სტაიერი ვ. ბაიკოვი, რომელმაც აჩვენა—1:37.30.

ეს შედეგი მეექვსეა დღემდე ჩატარებულ შეჯიბრებებზე ნაჩვენებ შედეგებს შორის. საუკეთესო დრო 1958 წელს ჰქონდა ს. პოპოვს — 1:32.58,8.

ვ. სმისლოვი და ე. ვასილიკოვი პირველ ადგილზე

მოსკოვში, საბჭოთა კავშირის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დასკვნით ტურში შეჯიბრების ლიდერებმა სმისლოვმა და ვასიუკოვმა ვერ დაამთავრეს თავიანთი პარტიები, რის გამოც გამარჯვებულთა ვინაობა გაურკვეველი რჩებოდა. მაგრამ მათი დამთავრების შემდეგ მდგომარეობა არ შეცვლილა. სმისლოვმა და მოსკოვის ჩემპიონმა ვასიუკოვმა დაგროვეს რა 7,5 ქულა 11-დან თვითეულმა გაიყვეს პირველი — მეორე ადგილები.

ფიზკულტურის დარგში მრავალი წლის ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელებით დაჯილდოვდნენ:

ა. ი. აბზიანიძე, — „ქოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გ. ი. ავალიშვილი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მწვრთნელი კალათბურთში; ბ. ი. ანტონოვი — სპორტის ოსტატი, შ. ნ. ახვლედიანი — სპორტის ოსტატი, საქართველოს სპორტკავშირის ფედერაციების განყოფილების გამგის მოადგილე, ვ. მ. ბალავაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოჭიდავე, ნ. ვ. გვახარია — სპორტის დამსახურებული ოსტატი, წყალბურთელი, ლ. დ. გოგოლაძე — სპორტის ოსტატი, წყალბურთელი, ვ. ა. გოგლიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოჭადრაკე, ლ. ვ. გოლოვნია — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოფარიკაკე, ე. ს. გოკიელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მძლეოსანი, ა. ნ. ღოღობერიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფეხბურთელი, ა. ბ. ჯაფარიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი. ალპინისტი, ლ. ვ. ძეკონსკი — სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი, კალათბურთელი, ვ. ე. დიდიძე — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჩოგბურთში და „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ბ. მ. დიაჩკოვი — სპორტის დამსახურებული ოსტატი და დამსახურებული მწვრთნელი მძლეოსნობაში, ნ. ი. დუმბაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მწვრთნელი მძლეოსნობაში ნ. კ. ჯორჯიკია — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსაჯთა რესპუბლიკური კოლეგიის თავმჯდომარე კალათბურთში, მ. ნ. ჯუღელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მწვრთნელი ტანვარჯიშში გ. ი. ივანიძე — სპორტსმენი, ცხენოსანი, ლ. ა. იოაკიმიდი — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ცურაში, ნ. ე. კეკელიძე — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი კალათბურთში, ა. ი. კილაძე — სპორტის ოსტატი, კალათბურთელი, ო. მ. ქორქია — სპორტის დამსახურებული ოსტატი, კალათბურთელი, ა. გ. ქორიძე — სპორტის ოსტატი, მოჭიდავე, ნ. ნ. კეცხოველი — აკადემიკოსი, ალპინიზმის ფედერაციის თავმჯდომარე, ვ. ვ. კანდელაკი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი და ფედერაციის თავმჯდომარე ჩოგბურთში, ზ. გ. მაჩხანელი — სპორტის ოსტატი, მესტენდერე, თ. ფ. მანაგაძე — საქართველოს სპორტკავშირის თავმჯდომარის მოადგილე, ი. ს. მინდაძე — ლელობურთელი, გ. ვ. მინაშვილი — სპორტის ოსტატი, კალათბურთელი, ა. ს. მეიფარიანი — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფარიკაობაში, ნ. გ. მეიფარიანი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტანვარჯიშის ფედერაციის თავმჯდომარე, გ. ნ. მერკვილაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტის გამგე, შ. გ. მჟავანაძე — აჭარის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ბ. ს. პაიჭაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, ნ. დ. პაშიკოვი — თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროსი, ა. გ. ფალავანდიშვილი — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჭადრაკში, ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორი, ვ. ს. რაზმაძე — მწვრთნელი ნიჩბოსნობაში, ი. ე. რიაზანოვა — სპორტის ოსტატი, ჩოგბურთელი, ვ. გ. რუბაშვილი — სპორტის ოსტატი, მოჭიდავე, გ. ვ. რცხილაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, გ. ს. სხირტლაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოჭიდავე, ლ. გ. სანაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მძლეოსანი, შ. მ. სუხიშვილი — საქართველოს სპორტკავშირის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, ს. დ. ტაბატაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი, მ. ი. თიკანაძე — საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ჭიდაობაში, ა. ს. ხაბურზანია — სპორტის ოსტატი, მწვრთნელი ველოსპორტში, კ. მ. ხორავა — ზუგდიდის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე, ს. კ. ხუროძე — დუშეთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე, რ. ს. ხიკუბა — აფხაზეთის სპორტკავშირის თავმჯდომარე, მ. ვ. ცალკალამანიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოჭიდავე, მ. ზ. ცხვედაძე — საკავშირო კატეგორიის მსაჯი კალათბურთში, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკურზრდის კათედრის გამგე, კ. ვ. წოწაძე — სპორტის ოსტატი, მოთხილამურე, რ. ა. ჩიმიშკიანი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ძალოსანი, გ. ბ. ჩიკვაიძე —სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფიზკულტურის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გ. პ. ჩიქვანაია — სპორტის ოსტატი, წყალბურთელი, ა. კ. ჩოგოვაძე — ქუთაისის სპორტკავშირის თავმჯდომარე, დ. პ. ცომაია — სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში, რ. მ. შავლაყაძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, მძლეოსანი, შ. ი. შავგულიძე — სპორტის დამსახურებული ოსტატი, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს სპორტკომბინატის დირექტორი, გ. ს. ეგნატაშვილი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტანმოვარჯიშე.

დაჯილდოვდნენ საპატიო სიგელებით

ა. ზაბელინას — „ვერცხლის რაპირა“

იტალიის ქალაქ კომოში გაიმართა მოფარიკავე ქალთა ტრადიციული ტურნირი, რომელიც ფაქტიურად, მსოფლიოს არაოფიციალურ ჩემპიონატს წარმოადგენს.

სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი მოფარიკავეები ორ დღეს ეცილებოდნენ ერთმანეთს საპატიო პრიზის—ნატურალური სიდიდის ვერცხლის რაპირის ხელში ჩაგდებას.

საბჭოთა სპორტსმენებმა მეორედ მიიღეს მონაწილეობა „ვერცხლის რაპირის“ პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში.

მომდინარე წლის ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა საბჭოთა სპორტსმენი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ა. ზაბელინა, რომელმაც გამარჯვებათა ყველაზე მეტი რაოდენობა (6) დაგროვა.

სურათზე: ქართული ჭიდაობის ცნობილ ოსტატ ვ. გაროზაშვილს ქობულეთში ჩამოყალიბებული აქვს სექცია, თავის მდიდარ გამოცდილებას გადასცემს ეროვნული ჭიდაობის მოყვარულებს.

ვილაპარაკოთ საზოგადოებრივ საწყისებზე

ზედმეტია ლაპარაკი ფეხბურთის პოპულარობის შესახებ. სპორტის ამ ულამაზეს სახეობას მილიონობით თაყვანისმცემელი ჰყავს, გამონაკლისს არც ჩვენი საბჭოთა მეურნეობა შეადგენს. მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა საქართველოს პირველობაზე III ჯგუფში, 1959 წლიდან კი მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოვიპოვეთ.

დიდი ხანია დავიწყეთ მზადება ფეხბურთის სეზონისათვის, რომელმაც ალბათ, წარმატება უნდა მოუპოვოს ჩვენს შრომისმოყვარე კოლექტივს. მთავარი ისაა, რომ გუნდი ჩამოყალიბებულია ადგილობრივი ძალებით ყოველგვარი მოწვეული „გასტროლიორების“ გარეშე.

ფეხბურთის გარდა სხვა სექციებიც მუშაობენ საზოგადოებრივ საწყისებზე. ამ საქმეს ემსახურებიან საზოგადოებრივი ინსტრუქტორები. ჩემის აზრით, მუშაობის ასეთი ფორმა ფიზკულტურულ კოლექტივებში ყველაზე უფრო მიზანშეწონილია. ჩვენი მშრომელი კოლექტივი, მათ შორის ფეხბურთელთა ნაკრებიც ეცდება გაზარდოს მეურნეობის სპორტული დიდება.

ი. ნეფარიძე,
ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი.

კომკავშირის ღვიძლი საქმე

მთელს რესპუბლიკაშია ცნობილი ჩვენი მეურნეობის სპორტული კოლექტივის სახელი, ის წარმატებები, რომლებიც ჩვენ გვაქვს მოპოვებული, ძირითადად კომკავშირელთა აქტიური მუშაობის შედეგია.

კომკავშირის კომიტეტის სხდომებზე და აქტივის კრებებზე ხშირად ვიხილავთ ფიზკულტურული მუშაობის საკითხებს, ვისმენთ სექციის ხელმძღვანელებისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების ინფორმაციებს თავიანთი მუშაობის შესახებ და ფიზკულტურის ძირეულ საბჭოსთან ერთად ვიბრძვით საერთო წარმატებათა მოსაპოვებლად.

ხშირად ვაწყობთ ამხანაგურ შეხვედრებს სხვადასხვა სახეობაში, საინტერესო ლექცია-მოხსენებებს საბჭოთა სპორტის განვითარების გზებზე.

ჩვენ კვლავაც დაუზარებლად ვიმუშავებთ ფიზკულტურული კოლექტივის ორგანიზაციულად განმტკიცებისათვის.

ბ. კუვშინოვი,
კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ლ ე ლ ო
მე-2 გვ. № 81 (1717)

კედელს ამშვენებს ციფერი ვიმპელი

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი ლ. წულუკიძე) ფართოდ იცნობენ არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მეურნეობის სახელოვან კოლექტივს მრავალი შესანიშნავი შრომითი საჩუქარი უძღვნია სამშობლოსათვის. აქამდე ბევრი კარგი გვესმოდა მეურნეობის ძირეული ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობის შესახებ, ახლა კი სურვილი გვქონდა საკუთარი თვალით გვენახა მოხმენილი და გაგონილი.

მოსახვევში მოტოციკლისტთა კოლონამ ჩაგვიქროლა. — ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის მოტოსექციის წევრები არიან, — გვიხსნის ქობულეთის სპორტკავშირის თავმჯდომარე ი. მუავანაძე.

მართლაც, სახიამოვნო სიურპრიზია. ვინც ზერელედ მაინც იცნობს რაიონის პირობებში ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობას, დაგვეთანხმება, რომ მოტოსექციის ნორმალური მუშაობა ძალზე ჭირს და თავისებურ ფუფუნებას წარმოადგენს.

მანქანამ მოზრდილი შენობის შესასვლელთან დაამუხრუჭა. ალაყაფთან ჩამოკიდებულ დაფას ამშვენებს წარწერა: „ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა“.

შესასვლელშივე გვეგებება მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე მ. ფირცხალაიშვილი. ცოტა ხანიც და საკმაოდ მოზრდილ ოთახში აქაური ფიზკულტურულ აქტივთან ვსაუბრობთ... მეურნეობის ფიზკულტურელებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ სპორტული ტრადიციებით: მათ კოლექტივში აღზრდილი რამდენიმე სპორტსმენი წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი უძლიერესთა შორის იმყოფებოდა. ისეთი სპორტსმენების გვარები, რომლებმაც მეურნეობა მთელს რესპუბლიკაში ასახელეს, ახლა თვითეული ჩაქველისათვისაა ცნობილი. ასე, მაგალითად, მოწინავე ჩაის მკრეფავი, ადგილობრივი ველოსექციის წევრი ნ. სემიონოვა არაერთხელ ყოფილა რაიონის ნაკრების შემადგენლობაში, რაიონის სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად იყვნენ ჩაბმული ველოსიპედისტი ს. ნოვიკოვა, ფეხბურთელი თ. მახარაძე, ძალოსანი რ. ბასილია და სხვები.

თერთმეტი სექციაა ჩამოყალიბებული კოლექტივში, რომლებიც ნაყოფიერ ვარჯიშს ეწევიან. ძნელია გამოარჩიოთ რომელიმე მათგანის საქმიანობა, მაგრამ მოწინავეთა შორისაც არიან მოწინავენი. ასეთთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, სროლის, ჭადრაკის, მოტო და ველოსექციები.

განსაკუთრებული წარმატებები აქვთ მოპოვებული აქაურ ფრენბურთელებს. უკვე რამდენიმე წელია ვაუთა ნაკრები არავის უთმობს ქობულეთის რაიონის ჩემპიონობას.

მთელ აჭარაშია ცნობილი ჩაქველ ველოსიპედისტთა გვარები. უკვე მრავალი წელია მეურნეობის ახალგაზრდობა ხალისით ეუფლება სპორტის ამ რთულ, მაგრამ მომხიბვლელ სახეობას. ამიტომ კანონზომიერიცაა ის ფაქტი, რომ აქაური ველოსიპედისტები ქობულეთის რაიონის უცვლელი და ღირსეული ჩემპიონები არიან. ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით ამ მრავალრიცხოვანი სექციის პოპულარობასა და საუკეთესო მუშაობაზე, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ ერთ თვალსაჩინო ნაკლოვანებასაც, რომელიც დღემდე აფერხებს ველოსპორტით დაინტერესებული ახალგაზრდობის მიზიდვას. საქმე იმაშია, რომ ველოსექციას არ ყოფნის ინვენტარი. მის განკარგულებაში არსებული ველოსიპედები სექციის წევრებსაც კი ვერ სწვდება თანაბრად.

აქტიური მუშაობა აქვს გაშლილი მეურნეობის ჭადრაკის სექციას, რომელშიაც 30-ზე მეტი მოჭადრაკეა გაერთიანებული. სექციის ხელმძღვანელი დ. გიგინეიშვილი და მეურნეობის კინომექანიკოსი ა. გოგიშვილი ქობულეთის რაიონის ნაკრების წევრები არიან. რაც შეეხება მეურნეობის მოჭადრაკეთა ნაკრებს, იგი რაიონის ჩემპიონის წოდების მფლობელია.

გულისხმიერ, მუყაით საქმიანობას აუცილებლად დადებითი შედეგი მოსდევს. დღეისათვის მეურნეობაში 350-ზე მეტი სპორტსმენია. აქედან 120 ქალია. განსაკუთრებით საყურადღებოა ეს უკანასკნელი მონაცემი. ქალთა სპორტი აჭარაში წლიდან წლამდე ვითარდება და იზრდება. ეს საუკეთესოდ აისახა თუნდაც ჩაქველ სპორტსმენ ქალთა მაგალითზეც. ახლა აჭარელი ქალები აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის სპორტშიც. მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის უველაფერი დაძლეული. ამას აღნიშნავენ სპორტკავშირის თავმჯდომარე ი. მუავანაძე და მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. ფირცხალაიშვილიც.

მოწინავე ფიზკულტურულ კოლექტივს ამჟამად ჰყავს 8 პირველი, 28 მეორე და 77 მესამეთანრიგოსანი სპორტსმენი. გადაჭარბებით სრულდება მშთ I და II საფეხურის გეგმები.

აქაური ფიზკულტურელები კომპლექსურ სპორტულ ბაზას, რომელიც ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ტანვარჯიშის მოედნების, აგრეთვე სარბენი ბილიკებისაგან შედგება, „სპორტულ ქალაქს“ ეძახიან.

მრავალრიცხოვან ფიზკულტურულ კოლექტივის სექციებს ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, გამოდის სპორტული გაზეთი „ახალგაზრდა ფიზკულტურელი“, მოწოდების სიმაღლეზეა სპორტული სტენდებისა და თვალსაჩინოების მდგომარეობა.

ჩვენ ვტოვებთ ოთახს, რომლის კედელს უკვე სამი წელია ამშვენებს ციფერი ვიმპელი: „საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივების კონკურსში გამარჯვებულს“.

ბ. კიკილაშვილი,
შ. ჟიაბრიშვილი.
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

> ეს გვერდი მოგვითხრობს ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საქმიანობაზე

საწარმოო ტანვარჯიშს— ფართო გზა

ჩვენს მეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვასა და განვითარებას.

მეურნეობის თვითეულ მუშას შეგნებული აქვს საწარმოო ტანვარჯიშის კეთილი გავლენის არსი ადამიანის ჯანმრთელობასა და მისი შრომისუნარიანობის ამაღლებაზე. ჯერ კიდევ 1959 წელს საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი ა. დოკვაძე სამი თვის განმავლობაში აწარმოებდა ექსპერიმენტებს საწარმოო ტანვარჯიშის დასანერგავად. ეს ყველაფერი კეთდებოდა ჩემი ბრიგადის მაგალითებზე. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ამჟამად მთელს მეურნეობაში მტკიცედ მოიკიდა ფეხი ადამიანის ფიზიკური ძლიერების ერთ-ერთმა ყველაზე საუკეთესო საშუალებამ.

გულახდილად უნდა ვაღიაროთ, რომ საწარმოო ტანვარჯიში ჯერჯერობით ინდივიდუალური წესით არის დანერგილი, მაგრამ ოჩხამურელთა ინიციატივის პასუხად ყველაფერს გავაკეთებთ, რათა უფრო მასობრივი და მიმზიდველი გავხადოთ იგი.

დ. გიგინეიშვილი,
საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

ასპარეზონზე ხუთჭიდელები

დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს 1961 წლის გუნდური პირველობამ თანამედროვე ხუთჭიდში სპორტსაზოგადოებათა ნაკრებ გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „დინამოს“, „სპარტაკისა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდები. გარდა ამისა, პარალელურად ტარდებოდა ამხანაგური შეხვედრა თბილისისა და ბაქოს ნაკრებ გუნდებს შორის. შეჯიბრება დაიწყო ცხენოსნური კროსით, რომელშიც პირველი წარმატებები მოიპოვეს თბილისელმა სპორტის ოსტატებმა დინამოელმა ი. მურომცევმა და სპარტაკელმა გ. კალმახელიძემ. კარგად გამოვიდა ბაქოელი პირველთანრიგოსანი ს. ფილიმონოვიც.

შეჯიბრების მეორე დღეს სპორტსმენები ერთმანეთს ფარიკაობაში ეჯიბრებოდნენ. ორი დღის შედეგების შეჯამებით შეჯიბრების ლიდერი გახდა გ. კალმახელიძე.

მოძრავ სილუეტზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სროლამ ლიდერთა ჯგუფში ცვლილება შეიტანა. გათამაშების ლიდერი გახდა ი. მურომცევი. პირველ ორ სახეობაში წარუმატებლობის შემდეგ სროლაში განსაკუთრებით გამოირჩეოდა სპორტის ოსტატი ზ. გვასალია, რომელმაც 200 შესაძლებლიდან 194 ქულა მოაგროვა.

განსაკუთრებით ძნელ პირობებში ჩატარდა შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნურ კროსში. მიუხედავად რთული პირობებისა, თბილისელმა პირველთანრიგოსანმა ა. სმირნიცკიმ შეძლო ქულათა საკმაო ოდენობა მოეგროვებია და გაიუმჯობესა ოსტატობისათვის ბრძოლის შესაძლებლობა.

განსაკუთრებით ძნელი აღმოჩნდა სპორტსმენებისათვის მძლეოსნური კროსი, 4-კილომეტრიანი რთულ ტრასაზე რბენას ძლიერი და შემხვედრი ქარი კიდევ უფრო ართულებდა. სპორტსმენებმა ამ დღეს ვერ შეძლეს საუკეთესო შედეგების ჩვენება. ისინი ჩვეულებრივზე გვიან ამთავრებდნენ დისტანციას. ამის გამო ოთხ სახეობაში მოპოვებული წარმატება ა. სმირნიცკიმ მეხუთე სახეობაში ვერ განიმტკიცა. 1 წუთის დაკარგვამ მას სპორტის ოსტატისათვის საჭირო 180 ქულა დააკარგვინა.

საერთო გუნდური პირველი ადგილი და საქართველოს 1961 წლის ჩემპიონობა მოიპოვა „სპარტაკის“ ნაკრებმა გუნდმა. მეორეზე არიან—„დინამოს“, ხოლო მესამეზე— „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები.

პირად ჩათვლაში ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ი. მურომცევს— 9.630 ქულა.

ბაქო-თბილისის გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში პირველი ადგილი მოიპოვეს ბაქოელმა სპორტსმენებმა.

ვ. როგავა,

სპორტის ოსტატი.

თ. ბაჩეჩილაძე



ა. ვერულავა — ჩემპიონი ორ სახეობაში

ჩოგბურთელთა რესპუბლიკური პირველობის ბოლო დღეს ჩემპიონი უნდა გამოევლინა თბილისელი სპორტსმენების ა. ვერულავასა და გ. მუსაელიანის შეხვედრას.

მაყურებელთა ვარაუდი, რომ ჩემპიონატის ფინალში ორი თანაბარი ძალის სპორტსმენის საინტერესო „დუელს“ ნახავდა, არ გამართლდა. ახალგაზრდა გ. მუსაელიანი გამოცდილ ა. ვერულავასთან შეხვედრისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა, მაშინ როცა მის მოწინააღმდეგეს იგი „ხუთი თითივით“ ჰქონდა შესწავლილი.

გ. მუსაელიანი ტექნიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენია, მაგრამ ტაქტიკური გააზრება მას საკმაოდ ღალატობს. ა. ვერულავა ბადესთან მხოლოდ დამამთავრებელი დარტყმისათვის გადიოდა, იგი კი არახელსაყრელ პერიოდშიც წინ მიიწევდა და თითქმის ყველა ეს ვასვლა დაკარგული ქულის ფასად უჯდებოდა.

ანგარიში 3:0 (6:1,6:1,6:1) ა.ვერულავას სასარგებლოდ, ნათლად მეტყველებს ფინალური შეჯიბრების მონაწილეთა არათანაბარ სიძლიერეზე.

შედარებით საინტერესო ხასიათი ჰქონდა შარშანდელი ჩემპიონის რ. აბჟანდაძისა და ახალგაზრდა პერსპექტიული ჩოგბურთელის ა. ივანოვას ბრძოლას პირველი ადგილისათვის. გამოცდილმა რ. აბჟანდაძემ მონდომებით ჩაატარა მატჩი და ორ პარტიაში გამარჯვებით — 6:4, 8:6 შეძლო საქართველოს ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნება. მესამე ადგილზე გამოვიდა ნ. ზამბახიძე, რომელმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ე. მინაევა — 9:7, 7:5.

მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია შერეული წყვილების ფინალურმა შეჯიბრებამ. კორტებზე გამოვიდნენ გამოცდილი ჩოგბურთელები ე. მინაევა—ა. ვერულავა და ახალგაზრდა, მაგრამ ძალზე კარგი მომავლის მქონე სპორტსმენები ა. ივანოვა და ა. საქრაძე.

აგრესიული, კომბინაციური თამაშით ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა შეძლეს გამოცდილი მეტოქეების დამარცხება და დამსახურებულად მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონთა სახელი.

წყვილთა შორის (ვაჟები) გაიმარჯვა კერულავა-ღარიბაშვილმა, ქალთა შორის—მინაევა-აბჟანდაძემ.

გ. სამანიშვილი

პროფკავშირების III საქალაქო სპარტაკიადა

ფრენბურთი

უკანასკნელ წლებში თბილისის საწარმოთა ფიზკულტურულ კოლექტივებში საგრძნობლად ამაღლდა ფრენბურთელთა ტექნიკური დონე, დაინტერესება. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ პროფკავშირთა საქალაქო სპარტაკიადაზე მონაწილეობის სურვილი 110 გუნდმა გამოთქვა.

ერთდროულად მიმდინარეობს შეხვედრები ოთხ მოედანზე. უკვე გამართულ მატჩებს შორის აღსანიშნავია ელმავალმშენებელი ქარხნისა და „ისანის“ ფრენბურთელ ვაჟთა შეხვედრა.

პირველ პარტიაში მოწინაალმდეგენი დიდხანს მისდევდნენ „ფეხდაფეხ“ ერთმანეთს. როცა ანგარიში იყო 13:13, ისნელებმა კარგად გამოიყენეს მოწინაალმდეგის შეცდომა და მოიგეს პარტია. მეორე პარტიაც მიჰყავდათ მათ, მაგრამ ელმავალმშენებლებმა შეძლეს რევანშის აღება — 15:9. მესამე, გადამწყვეტ პარტიაში ელმავალმშენებლებმა ბოლომდე ვერ შეძლეს ძალების მობილიზება, წააგეს იგი — 12:15 და შეხვედრაც.

I ჯგუფის სხვა შეხვედრებში პლასტმასის ქარხანამ დაამარცხა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატი — 2:1; ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ-ავტოსარემონტო ქარხანა — 2:1, „გამარჯვებამ“-№ 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა — 2:1, ელმავალმშენებელმა ქარხანამ-მაუდკამვოლის კომბინატი — 2:0. ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ-პლასტმასის ქარხანა — 2:0; ავტოსარემონტო ქარხანამ-ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა — 2:0.

ქალთა გუნდებს შორის კარგად გამოდიან „გამარჯვების“ სპორტსმენები, რომლებმაც მოუგეს (2:0) № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის გუნდს, მაუდ-კამვოლის კომბინატმა დაამარცხა ავტოსარემონტო ქარხანა — 2:0, ხოლო ავტოქარხნელებმა ამავე ანგარიშით მოუგეს სტალინის რაიონის ფრენბურთელებს. სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა დაამარცხა ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდი — 2:1.





ფაქტიურად ორი შეჯიბრება ერთდროულად ჩატარდა თბილისის ძალოსანთა შორის. „დინამოს“, „განთიადისა“ და „ბურევესტნიკის“ სპორტსმენებს გარდა, რომლებიც ქალაქის თასისათვის იბრძოდნენ, ფიცარნაგზე გამოვიდნენ პროფკავშირთა საქალაქო სპარტაკიადის მონაწილენიც.

გუნდების სიმრავლის მიუხედავად უმჩატეს წონაში მხოლოდ ოთხმა ძალოსანმა მიიღო მონაწილეობა, პირველი თანრიგის ნორმა შეასრულა ბურევესტნიკელმა ვ. ცინცაძემ, რომელმაც სამჭიდში 230 კგ დააგროვა. პირველი თანრიგის ნორმა შეასრულა აგრეთვე კიროვის ქარხნის წარმომადგენელმა კ. მარტიროსიანმაც — 267,5 კგ.

ქვემსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებაში კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ჩიმიშკიანი („დინამო“), რომელმაც ამჯერად 340 კგ დააგროვა.

მომდევნო წონით კატეგორიაში

ძალოსნობა

სამმა სპორტსმენმა აჩვენა პირველ თანრიგზე უკეთესი შედეგი. მათ შორის პირველ ადგილზე გამოსულმა სპორტის ოსტატმა ნ. ინჯგიამ („განთიადი“) დააგროვა 355 კგ. ქვესაშუალო წონაში მონაწილე 17 ძალოსანს შორის საუკეთესო იყო ვ. რადიმაშვილი („განთიადი“), რომელმაც სამჭიდში აჩვენა 395 კგ. ეს სპორტის ოსტატის ნორმაა. საშუალო წონაში უძლიერესი იყო გ. მიმინოშვილი („ბურევესტნიკი“) — 405 კგ.

პირველ მოძრაობაში ერთნაირი შედეგი — 125 კგ აჩვენეს ქვემძიმე წონის ძალოსნებმა — სპორტის ოსტატმა კ. ბაზაძემ (კიროვის სახელობის ქარხანა) და დინამოელმა კ. ებრალიძემ, მაგრამ სამჭიდის ჯამში კ. ბაზაძემ მას 7,5 კილოგრამით მოუგო.

წარუმატებლად გამოვიდა მძიმე წონის ძალოსანი გ. სანიკიძე (კიროვის სახელობის ქარხანა), რომელმაც მეორე და მესამე მოძრაობაში „0“ შეფასება მიიღო და შეჯიბრება აჭიმვაში მიღებული 130 კილოგრამით დაამთავრა. აქ პირველობა მოიპოვა დინამოელმა მ. კალაშიანმა, რომლის შედეგია 375 კილოგრამი (მეორე თანრიგი).

საბოლოო შედეგების მიხედვით გუნდური პირველობა და გარდამავალი თასი მოიპოვა „განთიადის“ ძალოსანთა გუნდმა. მეორე ადგილზე არიან „დინამოს“, ხოლო მესამეზე — „ბურევესტნიკის“ შტანგისტები.

პროფკავშირების სპარტაკიადის პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში ჩემპიონობა მოიპოვა კიროვის ქარხნის ძალოსანთა გუნდმა.

გ. სამსონაძე

* * *

სურათებზე: ნ. ინჯგია და ვ. რადიმაშვილი შეჯიბრებისას.

ფოტო ა. ვართანოვისა

მოსწავლეთა რესპუბლიკური კომპლექსური ღონისძიების წინ

ზუგდიდი

ამ დღეებში დამთავრდა ზუგდიდის რაიონის მოსწავლეთა XII სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 24-მა საშუალო სკოლამ.

ქალაქის საშუალო სკოლებს შორის სპარტაკიადაზე ცალკეული სახეობების მიხედვით ყველაზე მეტი წარმატება ხვდა პირველ საშუალო სკოლას, რომლის სპორტსმენები უძლიერესნი აღმოჩნდნენ: ველოსპორტში, ტანვარჯიშში, ჭადრაკში, ფრენბურთში (გოგონათა გუნდი). ქების ღირსია მეორე საშუალო სკოლის ფეხბურთელთა კოლექტივი, რომელმაც მეორე ადგილი მოიპოვა.

სოფლის სკოლებს შორის კი სოფ. ცაიშის სკოლამ პირველი ადგილი მოიპოვა.

შ. ლოგუა

სტალინირი

სტალინირში ჩატარდა მოსწავლეთა საოლქო სპარტაკიადა. ფეხბურთში ქალაქის ვაჟთა გუნდმა ფინალში ანგარიშით 2:0 დაამარცხა ჯავის გუნდი და პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ადგილზე გამოვიდა ჯავის, ხოლო მესამეზე — ლენინგორის გუნდი.

მცირეკალიბრიანი შაშხანით და პისტოლეტით სროლაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ ქალაქის გუნდის მოსწავლეები ს. ოსტაევი, გ. კაბისოვი და რ. პაპელიშვილი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ქ. სტალინირის ტყვიით მსროლელთა კოლექტივმა, მეორე ადგილზეა ლენინგორი.

საერთო შედეგების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა სტალინირის გუნდმა.

ვ. მელქოევი

ფანტასტიკა და სინამდვილე

ამ ათიოდე წლის წინათ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) შეადგინა „ფანტასტიკური“ რეკორდების ცხრილი და მასში შეიტანა ის შედეგები, რომლებიც ქულათა გამოთვლის საერთაშორისო ცხრილით 1500 ქულით ფასდება და მაშინ მიუღწეველად მიიჩნდათ.

აი ფანტასტიკური რეკორდებიც ვაჟებისათვის: 100 მ — 9,9 წ; 200 მ. — 20,0 წ; 400 მ. — 44,6 წ; 800 მ. — 1.43,3 წ; 1500 მ. — 3.38,0 წ; 5000 მ. — 13.31,4 წ; 10000 მ. — 28.31,0 წ; თარჯრბენი 110 მ. — 13,2 წ; 400 მ. — 48,8 წ; 3000 მ. დაბრკოლებებით — 8.30,6 წ; სიმაღლეზე ხტომა — 2,14 მ; ჭოკით — 4,82 მ; სიგრძეზე — 8,26 მ; სამხტომი — 16,48 მ; ბირთვის კვრა — 18,50 მ; ბადროს ტყორცნა — 59,20 მ; ურიოს ტყორცნა — 69,20 მ; შუბის ტყორცნა — 81,40 მ;

მაშინ თვლიდნენ, რომ ამ შედეგების ჩვენება შეუძლიათ მხოლოდ „სუპერ-სპორტსმენებს“ და თუ ვინმე ამგვარი გამოჩნდა, იგი ერთად-ერთი იქნებაო, მაგრამ სინამდვილემ ცხადყო, რომ 18 სახეობიდან 11-ში უკვე გამოჩნდნენ „სუპერ-სპორტსმენები“.

მარტო ურიოს ტყორცნაში 42-მა სპორტსმენმა გადალახა 69,20 მ ზღვარი, რომელთა შორის უძლიერესმა გ. კონოლიმ (აშშ) აჩვენა 70,33 მ.

1500 მ რბენაში ავსტრალიელმა ჯ. ელიოტმა რომში აჩვენა 3.35,6 ე. ი. ფანტასტიკურ რეკორდზე 2,4 წ უკეთესი შედეგი. 10.000 მ რბენაში ჰ. ბოლოტნიკოვმა ფანტასტიკურ რეკორდს საგრძნობლად გადააბიჯა — 28.18,8 წ სიმაღლეზე ხტომაში 8 სპორტსმენი გამოვიდა იააფ-ის საზღვრებიდან, მათ შორის 5 საბჭოთა სპორტსმენია. სამხტომში 8 „სუპერ-სპორტსმენს“ სათავეში ჩაუდგნენ შმიდტი (პოლონეთი) — 16,81 მ და ვ. გორიაევი (საბჭოთა კავშირი) — 16,63. და ბოლოს რომის ოლიმპიადაზე შმიდტმა მსოფლიო რეკორდი 17.03 მ აიყვანა. ბირთვის კვრაში „სუპერ-სპორტსმენის“ სახელისათვის იბრძვის 11 მძლეოსანი. მსოფლიო რეკორდსმენ უ. ნიდერის შედეგია 20.06 მ.

ამ დღეებში „სუპერ-სპორტსმენთა“ რიგებს შეემატა ჯ. დევისიც, რომელმაც პირველმა გადალახა „ფანტასტიკური“ რეკორდი ჭოკით ხტომაში 4,82 მ და აჩვენა 4,83 მ.

როგორც ჩანს, იააფ-ის მიერ გამოქვეყნებული „ფანტასტიკური“ რეკორდები სრულებითაც არ ყოფილა ადამიანის შესაძლებლობათა ზღვარი და ვარაუდობენ, რომ სულ მალე დარჩენილ 7 სახეობაშიც აღარ იქნება თეთრი ლაქა.



ცენტრალური სტადიონი სანტ-იაგოში, სადაც ჩატარდება მსოფლიო პირველობის მატჩები ფეხბურთში.

ამერიკელები ემზადებიან

კალიფორნიის (აშშ) შტატის ქალაქ კომპტონში ყოველწლიურად ეწყობა მძლეოსანთა შეჯიბრება. ასეთი შეჯიბრება გაიმართა ამ დღეებშიც და დამთავრდა მაღალი შედეგებით. ასე მაგალითად, 880 იარდზე რბენაში ე. კენფილმა აჩვენა სეზონის საუკეთესო შედეგი — 1.48,2, ხოლო კანადელმა ბ. კადმა დაამყარა თავისი ქვეყნის რეკორდი 5.000 მეტრზე რბენაში — 13.56,4.

მსოფლიოს რეკორდსმენმა ბადროს ტყორცნაში რ. ბაბკამ ამჯერად აჩვენა 59 მ 24 სმ (მსოფლიო რეკორდზე 77 სმ-ით ნაკლები). მასთან შეჯიბრებაში ჯ. სილვესტრმა ერთ-ერთ ცდაზე ბადრო გაგზავნა 60 მ 34 სმ-ზე, მაგრამ წესი დაარღვია და ამიტომ მსოფლიო რეკორდი არ იქნა ფიქსირებული.

ბირთვის კვრაში ძველი კონკურენტების — დ. ლონგისა და ჰ. ობრაიენის ორთაბრძოლა დამთავრდა პირველის გამარჯვებით, რომელმაც აჩვენა 18,77 მ. დ. ბრეგმა და ჯ. დევისმა ჭოკით ხტომაში პირველობა დაუთმეს რ. მორისს, რომელმაც აჩვენა 4 მ 75 სმ. ესტაფეტაში 4×400 იარდზე ალბინ კრისჩენ-კოლეჯის გუნდმა გაიმეორა აშშ-სა და მსოფლიო რეკორდი საკლუბო გუნდებისათვის — 3.07,6.

აშკარად არ არის ფორმაში მსოფლიო რეკორდსმენი ჯ. თომასი. ამჯერად მან მხოლოდ 208 სმ აიღო და მხოლოდ ცდათა სიმცირით აჯობა რ. ავანტას.

მძლეოსანთა შეჯიბრება გაიმართა აგრეთვე სიუკს-ფოლსში, სადაც 100 იარდზე რბენაში მსოფლიო რეკორდი — 9,3 წ გაიმეორა ისეთმა სპორტსმენმა, რომელიც შარშან აშშ-ს ას საუკეთესოთა სიაშიც კი არ იყო — ფლორიდელმა სტუდენტმა რ. ჰეისმა.

ამერიკელთა ეს შეჯიბრებანი ძალთა უკანასკნელი შემოწმებაა საბჭოთა კავშირის მძლეოსნებთან მატჩის წინ.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ლენინგრადში დაიწყო საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ფარიკაობაში, რომელშიც მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების. აგრეთვე მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი სპორტსმენები.

ჩემპიონატი გახსნეს რაპირისტებმა. აქ თავმოყრილი იყო რომის ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილე ჩემპიონ ი. ქადანოვიჩის მეთაურობით. მაგრამ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბრძოლა პირველი ადგილისათვის გაიმართა არა გამოცდილ ოსტატებს, არამედ ახალგაზრდა მოფარიკავეებს შორის.

ტურნირი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრეს ლენინგრადელმა ი. ივანოვმა და რსფსრ-ს გუნდის წევრმა ა. შეველიოვმა. უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი ბრძოლა, რომელიც მოიგო ივანოვმა. შეველიოვი მეორე ადგილზე დარჩა. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ი. სისიკინს.

თურქეთი — იაპონია — 8 : 0

ჭიდაობაში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ თურქებმა განაცხადეს, რომ თავისუფალ ჭიდაობაში თითქმის ყველა ოქროს მედალს ისინი წაიღებდნენ სახლში. კარგ მაჩვენებლებს ვარაუდობდნენ თურქები კლასიკურ ჭიდაობაშიც.

მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩემპიონატში თურქები გაწბილდნენ. მათ ვერც ერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვეს. თავიანთი პრესტიჟის რეაბილიტაციის მიზნით თურქები ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შეხვდნენ იაპონელებს კლასიკურ ჭიდაობაში. ამჯერად გამარჯვება მათ დარჩათ მშრალი ანგარიშით — 8:0.

ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ

26 ივნისს ლონდონში დაიწყება უიმბლდონის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ყველა წამყვანი ჩოგბურთელი. ამ ტურნირს წინ უსწრებს ბლეკმან კლუბის პირველობა, რომელიც დაიწყო გუშინ.

შეჯიბრებაში მონაწილეობს 14 ავსტრალიელი ჩოგბურთელი, ჩოგბურთის ცნობილი ოსტატის ფრეზერის მეთაურობით. ბლეკმან კლუბის ჩემპიონატში გამოვლენ აგრეთვე შეერთებული შტატების, ინგლისის, ინდოეთისა და სხვ. ქვეყნების სპორტსმენები. პირველობისათვის იბრძოლებენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელები, რომელთა შორის სამი: კუზმენკო, ბაშეევა და მძინარიშვილი პირველად მონაწილეობენ ტურნირში.

პირველ ტურში მძინარიშვილი შეხვდა ავსტრალიელ ჰილდერბრაკეს,

მსოფლიო რეკორდები

სულ ახალ-ახალი შტურმი მიაქვთ საბჭოთა ძალოსნებს მსოფლიო რეკორდებზე.

საბჭოთა არმიის სერჟანტმა — მსუბუქი წონის ძალოსანმა ვ. კაპლუნოვმა ორი ხელით აწია 134,5 კილოგრამი, რაც მსოფლიო რეკორდზე უკეთესი შედეგია.

• • •

ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარებული ტოკიოს ფიცარნაზეც. ხოსეის უნივერსიტეტის სტუდენტმა უმჩატესი წონის ძალოსანმა ი. მიაკემ აიტაცა 114,5 კილოგრამი და 7 კილოგრამით გაუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

შედგა მორიგი შესარჩევი მატჩი ფეხბურთში. მსოფლიო პირველობაზე. ეს იყო სამხრეთ კორეისა და იაპონიის გუნდების მეორე შეხვედრა. ისევე როგორც პირველ მატჩში (2:0), გამარჯვება მოიპოვეს სამხ. კორეის ფეხბურთელებმა, რომლებიც ფინალში გასასვლელად შეხვდებიან იუგოსლავიისა და პოლონეთის გუნდებს შორის გამარჯვებულს.

ᲐᲠᲩᲘ ᲛᲣᲠᲘ ᲘᲒᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲡ

ნიუ-იორკში, „მედისონ სკვერ გარდენის“ სპორტულ დარბაზში გაიმართა მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ერთმანეთს შეხვდნენ პროფესიონალი რინგის ვეტერანი ამერიკელი ზანგი არჩი მური და ახალგაზრდა იტალიელი მოკრივე რენალდი.

უნდა აღინიშნოს, რომ არჩი მური თავის იტალიელ მეტოქეზე 22 წლით უფროსია. ერთი წლის წინ რომში ისინი იბრძოლნენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. გამარჯვება მაშინ წილად ხვდა რენალდის.

ძლიერად ჩაატარა მატჩ-რევანში არჩი მურმა. მან პირველ სამ რაუნდში უკუაგდო ტემპერამენტიანი იტალიელის იერიშები და შემდეგ ხელთ იგდო ინიციატივა. მომდევნო 10 რაუნდის მანძილზე უპირატესობა მთლიანად მურის მხარეს იყო, რომელმაც მოიპოვა კიდეც გამარჯვება და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ქვემძიმე წონაში.

17-18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠ ᲜᲘᲩᲑᲝᲡᲜᲝᲑᲐᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐ

დასაწყისი 12 ს.



17-18 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ



დასაწყისი 19 ს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს სპორტის დამსახურებულ ოსტატს გრიგოლ გაგუას მისი დედის

ნინო გაგუას

გარდაცვალების გამო.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05570